572
1961/3

ეროვნული ბიბლიოთეკა

დილა

„გაჰყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!“

№ 10

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და
ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა
ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი

ოქტომბერი
1961

ხვალინდელი დღე

კვირა დღე იყო. გიამ კაკუნზე მაშინვე კართან მიირბინა. ფოსტალიონს ახალი გაზეთები ჩამოართვა და პაპას მიუტანა. მერე გაზეთს დახედა და უზარმაზარი ასოებით დაბეჭდილი სათაური ხმამაღლა ამოიკითხა: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა“

— გინდა იცოდე, რას ნიშნავს ეს პროგრამა? ღიმილით ჰკითხა პაპამ და შვილიშვილი გვერდით მოისვა.

— პარტიის პროგრამა თავისებური გეგმაა, თუ როგორ უნდა აშენდეს კომუნისტური საზოგადოება. ეს პროგრამა ჩვენი პარტიის პირველი პროგრამა როდია. ჯერ კიდევ 1903 წელს, როდესაც შენოდენა ვიყავი, ჩვენმა პარტიამ პროგრამა მიიღო. იმ პროგრამაში დასახული იყო, რომ მუშებსა და გლეხებს დაემხოთ მეფის ხელისუფლება, მოესპოთ მდიდრების ბატონობა და თავისუფლება მოეპოვებინათ. როდესაც ეს შესრულდა, პარტიამ მეორე პროგრამა მიიღო, 1919 წელს. ამ პროგრამით ვხელმძღვანელობდით ორმოცი წლის განმავლობაში: ვაშენებდით ქარხნებსა და ფაბრიკებს, ქალაქებს, რკინიგზებს, სკოლებს, საბავშვო ბაღებს. ორმოცი წელი იშრომა ჩვენმა ხალხმა იმისათვის, რომ შეექმნა სოციალისტური წყობილება.

დღეს ცხოვრება ძალიან შეიცვალა, წინ წავიდა. ქვეყანა დოვლათით აივსო. ხომ ხედავ, შვილო, ვარსკვლავეთს ვიპყრობთ,— განაგრძო პაპამ,—ჰოდა, ძველი გზით ხომ არ ვივლით. ჩვენმა კომუნისტურმა პარტიამ გადაწყვიტა მიეღო ახალი პროგრამა. ამ პროგრამით გათვალისწინებულია, რომ ოც წელიწადში ჩვენს ქვეყანაში ძირითადად აშენდეს კომუნიზმი. სოციალიზმის დროს რაც მეტს შრომობ, რაც მეტ სარგებლობას აძლევ ქვეყანას, მით მეტ გასამრჯელოს იღებ. ამ კანონით ვცხოვრობთ დღეს ჩვენ. კომუნიზმის დროს კი შრომის ანაზღაურება მოთხოვნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების მიხედვით იქნება. იშრომებ, რამდენიც შეგიძლია, მიიღებ, რამდენიც გჭირდება.

მაგრამ კომუნიზმი უცებ, თავისთავად როდი მოვა. შენ შეიძლება იფიქრო: აი, გავიღვიძებ ერთ ბედნიერ დღეს და ყველაფერს მუქთად მივიღებო,—ნაყინსა და პურს, ფეხსაცმელსა და წიგნებს. არა, კომუნიზმს რომ მივაღწიოთ, კიდევ ბევრი და თავდადებული შრომაა საჭირო. უნდა აშენდეს ბევრი, ძალიან ბევრი ელსადგური, რომ ჩვენმა ფაბრიკა-ქარხნებმა, რკინიგზამ რაც შეიძლება მეტი ელექტროენერგია მიიღოს. აი, ამ ნათურას ხომ ხედავ?—მიუთითა პაპამ,—ასეთი ნათურებით უნდა გაჩირაღდნდეს მთელი ჩვენი ქვეყანა.

არ გეგონოს, რომ მარტო ეს კმაროდეს. ვერც ლითონის გარეშე წავალთ წინ. იცი, რა მოხდება, ლითონი რომ არ გვქონდეს? წერას მოისურვებ, ვერ დაწერ,—კალამი არ გექნება; მოგშივდება, სადილს ვერ შეჭამ,—უქვაბოდ აბა რა სადილი დამზადდება? არ იქნება რკინიგზა, გემები, დაზგები. ამიტომ საჭიროა რაც შეიძლება მეტი ლითონის გამოდნობა, რომ ბევრი იქნეს ტრაქტორი, კომბაინი, ექსკავატორი, ჩარხი. აი, თქვენ რომ ჯართს აგროვებთ, ისიც ამ საქმეს ხმარდება.

ყველაფერი ამის გაკეთება უსწავლელ ადამიანს როდი შეუძლია. სწავლის გარეშე ვერ ააშენებ, ვერაფერს შექმნი, ცხოვრებას წინ ვერ წასწევ. კომუნიზმს ძალზე განათლებული ადამიანები სჭირდება. ამიტომ პროგრამაში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი სწავლა-განათლების და მეცნიერების განვითარების საქმეს.

შენთვის კი ახლა მთავარია კარგად ისწავლო, გაიზარდო ჯან-ღონით სავსე ადამიანი, ხოლო როდესაც წამოიზრდები, უფროსებს ამოუდგები მხარში და მათთან ერთად იბრძოლებ უფრო ბედნიერი ცხოვრებისათვის. შენ კი არა, შვილო, ჩვენს მიღწევებს რომ ვხედავ, მეც კი მაქვს იმედი, რომ კომუნიზმს მოვესწრები.

ზ. ლემკაშელი

ნახატები გ. ფოცხიშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათი

ნ. ბეჟარაშვილი

გაეღვიძა თუ არა ნოდარს, მაშინვე წამოხტა ლოგინიდან და პირის დასაბანად რუს მიაშურა. ეზოში პაპას შეასწრო თვალი. ქოლგასავით გაშლილ თუთის ქვეშ კუნძზე ჩამომჯდარიყო. გვერდით ნედლი წნელის გროვა ეწყო: ტყეში წასვლა ადრიანად მოესწრო. პაპა ჯმუხი ხელებით არჩევდა წნელებს,— წვრილებს ცალკე აწყობდა, მსხვილებს—ცალკე.

— პაპა, რად გინდა წნელები?— ჰკითხა ნოდარმა.

— გოდრები უნდა დავწნა, შვილო.

— მერე ამდენი წნელი?—არ ეშვებოდა ნოდარი.

— ეს რას გვეყოფა, კიდევ უნდა მოვიტანო. თითო ვაზს თხუთმეტი მტევანი მაინც აბია. მერე იცი, რა მტევნებია, გულითაც რომ მოინდომო, ერთის მეტს ვერ მოერევი.

ნოდარი პაპას გვერდით ჩამოჯდა, აწვდიდა წნელებს და ეხმარებოდა. თან თვალი წვრილი წნელებისაკენ ეჭირა, რომელსაც პაპა ყურადღებას არ აქცევდა. „ალბათ არა სჭირდება და იმიტომ გადაარჩიაო“,—გაიფიქრა ნოდარმა და როგორც იქნა, პაპას შეჰბედა:

— ეს პატარა წნელები მე მომეცი, კალათს დავწნავ!

პაპამ გადაუწყო წნელები: — აჰა, დაწანიო!

ნოდარმა სწორ ადგილზე ჯოხით პატარა წრე შემოხაზა. მერე წვერწათლილი წნელები ჩაურჭო და ისე დაიწყო წვნა, როგორც პაპა წნავდა გოდორს. გაუძნელდა მუშაობა, მაგრამ თავს მაინც არ ანებებდა. დიდი წვალებით გამოუწნა ძირი. ჯერი სახელურის გამობმაზე მიდგა. ამან კი ჩააფიქრა ბიჭი.

— ვიცი, როგორ არ ვიცი... პაპამაც, მგონი, ასე გააკეთა,—ჩაიდუდუნა და წვრილი წნელები კალათს ჩააგრიხა. კალათი მზად იყო. ნოდარმა სახელურით მაღლა ასწია და გახარებულმა შესძახა:

— პაპა, რა კალათია, ერთი შეხედე!

პაპამ შეათვალიერა კალათი და შვილიშვილს უთხრა:

— კალათი აქ დატოვე, შენ კი ბაღში ჩადი, ორიოდე კომში გამოიტანე, წუხელ ქარი იყო, ძირს ეყრება!

ნოდარს გაუკვირდა, კომშები რად

ნახატი რ. სუცქირიძისა

უნდაო, მაგრამ მაინც წავიდა. ცოტა ხნის შემდეგ გულზე მისუტებული ხუთიოდე კომში მიუტანა ჰაჰას და მწვანეზე დაყარა. ჰაჰამ კომშები კალათში ჩააწყო.

— თუ ბიჭი ხარ, ახლა ასწიე!

ნოდარმა ხელი დასტაცა კალათს და მაღლა ასწია. მაგრამ ბრახ!—და მისი კალათი კომშებიანად ძირს გაგორდა... ნოდარს სახელურიღა შერჩა ხელში.

— სახელურმა მიღალატა, შენც ხომ სწორედ ასე გაუკეთე,—წაიბუზღუნა ბიჭმა.

— ერთი დანახვით კაცი ისე ვერ ისწავლის, რომ სხვისი დახმარება არ დასჭირდეს,—თქვა ჰაჰამ და თვითონ დაიწყო სახელურის ამობმა,—აქ არ ვიყავი, ვერა მკითხე?

შვილიშვილმა სიტყვა არც კი დაამთავრებინა ჰაჰას, კალათს უტაცა ხელი:

— მე თვითონ, ჰაჰა, მე გავაკეთებ. უკვე მივხვდი!

ჰაჰამ ერთი-ორი სიტყვით აუხსნა, როგორ უნდა ჩაეწნა სახელური და კალათი ისევ ნოდარს დაუბრუნა. მალე კომშებით სავსე კალათი აივნის სვეტზე დაჰკიდეს.

ორიოდე კვირის შემდეგ კოლმეურნეობის ახალ ვენახში დიდი ჟრიამული იდგა. სოფელს რთველი გაეჩაღებინა. ივსებოდა გოდრები, იტვირთებოდა მანქანები. მოფუსფუსე ხალხში ნოდარიც მოჩანდა. ყურძნით სავსე ახალი კალათი სირბილით გამოჰქონდა ვენახიდან, ჰაჰის დაწნულ გოდრებში სცლიდა და ისევ ვაზებისაკენ გარბოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს. მარშაკი

როგორ იბეჭდება შენი წიგნი

ამ ბიჭუნას, ლამაზ წიგნს რომ
ვერ აშორებს ჭკვიან თვალებს,
ხშირად უთქვამს ჩემთვის: „ძია,
დამიბეჭდე წიგნი მალე!“

— ჩემო კარგო ბიჭუნია,
ჩემი რატომ არა გჯერა.
წიგნის ბეჭდვა მე არ ვიცი,
ვიცი მხოლოდ ლექსის წერა.

მე შენ მხოლოდ ლექსებს გიწერ,
გიბეჭდავენ ჩემს ლექსს სხვები,
როგორ, რა გზით ისტამბება?
ამას ახლავ მოგიყვები.

სმენად იქეც, ნურაფერზე
ნუ იფიქრებ ერთი წუთით...
სტამბაში თუ შეხვალ, ნახავ,
თავახდილი რომ დგას ყუთი.

შრიფტის კასას ეძახიან,
მასში ბევრი ასო არის,
ტყვიისაგან ჩამოსხმული
ასოები მრავალგვარი.

თავახდილი ყუთი არის,
დაყოფილი უჯრედებად,
და უჯრაში თითო ასო
ალაგია წყება-წყება.

მე გაგაცნობ ასოთამწყობს,
არ ეწევა შრომას ადვილს,
სწრაფად იღებს ყველა ასოს,
ყველას უჩენს თავის ადგილს.

რიგი რიგს სდევს მოხდენილად,
მწკრივი კოხტად მწკრივს მიჰყვება
და დაფაზე ასოები
დაეწყობა წყება-წყება.

ყველა ასო, ჯარის მსგავსად,
კოხტად, მწკრივად დაეწყობა,
შემდეგ შავი ტყვიის რიგი
წიგნს სტრიქონად დაეტყობა.

არის თვალის დამქანცველი
ხელით წყობის ძველი წესი,
დე, მანქანა შეგვეშველოს,
ეს იქნება უკეთესი.
თუმც მანქანა არის სწრაფი,
კაცსაც ჯაფა არ ეტყობა,—
მაინც შეგვრჩა მასთან ერთად
ძველთაძველი ხელით წყობა.

ანაწყობი დასაბეჭდად
დალაგდება წყება-წყება,
მანამდე კი მოგვიხდება
ანაბეჭდის ამოღება.

აი, უკვე ანაბეჭდიც!
პწკარს ლამაზად მისდევს პწკარი...
წაიკითხეს, გაასწორეს,
შეცდომები არსად არის.

ამის შემდეგ მარჯვე ხელი
ფურცლის შრიალს გაგვაგონებს...
აჰკრეფს, აჰკრეფს ფურცელს მარჯვედ,
გვერდებს დააკაბადონებს.

ჰა, მანქანაც ამუშავდა,
ამოძრავდა უცბად, მედგრად...
სწრაფად მიაქვს მას ქაღალდი
ანაბეჭდის შესახვედრად,

რომ ნაბეჭდი სუფთა იყოს,
არსად ჰქონდეს ქაღალდს ლაქა,
რომ საამოდ ქათქათებდეს,
თვალს ეამოს დასანახად.

სუფთა ქაღალდს ანაწყობი
ელვის უმალ, სწრაფად ხვდება...
ჰა, გვერდები დაიბეჭდა,
მალე წიგნიც დამზადდება.

თუმც მანქანა არას ფიქრობს,
(ფიქრი ძალუძს ამ ცივ ლითონს?),—
თვითონ გიქრის ფურცლებს კოხტად
დასტა-დასტა გიწყობს თვითონ.

ამკინძავი ჰკინძავს ფურცლებს,
ჰკინძავს, ჰკინძავს, არ იღლება...
მერე უდაში ჩაგისვამს და
შენი წიგნიც მზად იქნება!

გადმოაქართულა ალ. ბეგაშვილმა



ნახატები თ. სამსონაძისა

ნინო ნაკაშიძე

ნახატები ბ. რუინიშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექიმი და ავადმყოფი

მონაწილენი:

1. მთხრობელი—უფროსი ან ბავშვი, 2. გოგონა, 3. ბიჭი.

გ ო გ ო ნ ა — ექიმო, ექიმო, დამეხმარე, ავადა მყავს ჩემი ჰატარა გოგონა, მშვენიერი თვალჟუჟუნა შვილიკო. შეხედეთ, როგორ გახდა, არაფერს არ ჭამს, არც სვამს!

მთხრობელი — ეუბნებოდა ჰატარა ანიკო ძია კოტეს და არწევდა თავის დედოფალას. ძია კოტემ დახედა დედოფალას, მაჯა გაუსინჯა, შუბლზე ხელი დაადო და უთხრა:

ე ქ ი მ ი — მართალია, ძალიან ავად არის. გაციებულებოდა, მაგრამ არა უშავს. ახლავე წამალი დავალევინოთ. ერთი კოვზი მურაბა რომ გადავაყლაპოთ, მორჩება.

გ ო გ ო ნ ა — როგორ ფიქრობთ, ექიმო, ერთი კოვზი ეყოფა?

ე ქ ი მ ი — ეყოფა! ცოტა წყალიც უნდა დააყოლოს.

გ ო გ ო ნ ა — მაშ, მოიტანთ ჩქარა, მანდ არის განჯინაში. მხოლოდ დიდი კოვზი გამოიღეთ...

მთხრობელი — ექიმმა გამოიღო განჯინიდან ერთი კოვზი მურაბა და გადააყლაპა. თუ იცით, ვის?

რა თქმა უნდა ანიკოს, და დედოფალაც მაშინვე მორჩა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსის სიმღერა

მწყემსი ვარ და
მუხას ვგავარ!
მშობელ ხალხში მიდგას ფესვი,
მამა-პაპის კვალზე ვდგავარ,—
სალამურიც თან მაქვს მწყემსის.

მწყემსი ვარ და
მუხას ვგავარ!
რად უნდა თქვენ ჩემზე ძვირი?
მე მოძავლის ბურჯად ვდგავარ,
მინდა გავხდე შრომის გმირი!

მ. ფორჩხიძე

ლონიერი

ვ. ასლამაზიშვილი

კვეხნით არ ვამბობ და ჩემი უფროსი ძმა ძალიან ლონიერია. ერთხელ ვუთხარი:

— ბიჭო, ლაზარე! მეც მინდა ლონიერი ვიყო, მინდა შენსავით ბებიას წყლით სავსე დოქი სულ სირბილით მოვუტანო, მინდა დიდრონი ლოდები შენსავით გზიდან გადმოვაგორო...

— კარგი, თუ გინდა, შენ ტოლ ბიჭებზე უფრო ლონიერი გახდე, მე გასწავლი.

ერთ დილით ვიღაცამ შემანჯღრია და ყურში ჩამძახა:

— ადექი!

უნდა მეთქვა, რას ამბობ, ჯერ კარგად არ გათენებულა-მეთქი, მაგრამ პირობა პირობაა, ავდექი. ძმამ არც პირი დამაბანინა, არც ტანსაცმლის ჩაცმა მაცალა და რადიო ჩართო. ცოტა არ იყოს, გამეცინა, როცა ლაზარემ რადიოს ხმაზე ხელების ქნევა დაიწყო, არც ფეხებს ივიწყებდა, იატაკზეც გაწვა.

მე უხალისოდ ვბაძავდი, ძმა კი არ მეშვებოდა,—ნუ გეზარება, თუ გინდა, ლონიერი გამოხვიდე, ივარჯიშეო. მარტო ვარჯიში არ მაკმარა, ტილო დაასველა და მაგრად დამზილა.

ახლა ყოველ დილას მე და ლაზარე ადრე ვდგებით. ისე შემიყვარდა ვარჯიში, რომ ვცდილობ, ძმას ადგომა დავასწრო. ამ დილითაც რომ გავიღვიძე, ჩემს ძმას ჯერ გაუკვირდა, მერე გაიცინა და მითხრა: შენ ნამდვილად ლონიერი გამოხვალო!

ჰოდა, ვატყობ, ცოტა მოვლონიერდი. წეღან ბებიამ ვერა და ვერ დააბა გაჯიუტებული თხა. ადგილიდან ფეხს ვერ აცვლევინებდა. მივედი, თოკი გამოვართვი და რომ გამოვწიე, გიყვარდეს, იკადრა თხამ ხესთან მობრძანება.

მაგრამ თხის ხეზე დაბმა რა არის? მინდა ძმასავით ლონიერი ვიყო, რომ გზაზე ჩამოგორებული ლოდები მეც ციმციმ ავწიო და ღელეში გადავუძახო; ბებოს დიდი დოქით წყალი მოვურბენინო; პაპას კი ისე ღრმად დავუბარო ბოსტანი, რომ მეც მერგოს მისი ქება.

მზე იცინის

ოქტომბრელთა ერთდროულ გაზეთს ვუძღვნით პიონერულ ორწლედს

ვარდი

თუ გინდათ, გიიგოთ, რამდენი პიონერია გურჯაანში, შეაშეკვთ გურჯაანის კინიერ პროსპექტს, მობრძანდით ჩვენს დიდ პარკში და წითელი ხაფრიდის ვარდები გადათვალეთ. რამდენ მირ ვარდსაც დაითვლით, პიონერიც სწორედ იმდენია. იციო, რატომ?

შარშან ამ დროს, პიონერული ორწლედის დასაწყისის დღეს, გურჯაანელმა ნორჩმა ლენინელებმა პირობა დადეს: ახლო პარკში ვარდებს ჩვენ გავაშენებთო.

მას შემდეგ ერთი წელი გავიდა. იხვევ შეიკრიბნენ პიონერები,— ახლა უკვე საზეიმოდ. შეაჯამეს ერთი წლის ნამუშევარი და ახალი ვალდებულება ითავეს.

ამ პარკში ოქტომბრელებიც გულმოდგინედ მუშაობდნენ, ოღონდ მათი დარგეული ვარდის ბუჩქები ვერ პატარაა. ისინიც ზუსტად იმდენი მირი იქნება, რამდენი ოქტომბრელია არის გურჯაანში.

ოქტომბრელებმა სიტყვის შესრულება იციან.

გურჯაანი.

ჩვენი ფერმა

მზეს ვასწრებთ ადგომას სურამის საბავშვო სახლის ოქტომბრელები. მინდორს გადაეირბენთ და საქთამის კარს გამოვადგებთ. გალიებიდან მოგრინავენ ქათმები და დიდ მინდორზე გაიშლებიან.

საბავშვო სახლში მეფერნველეობის ფერმა მოვაწყეთ. გვინდა, პიონერულ ორწლედში ჩვენი წვლილიც იყოს.

— ორი ათას ფრთა ქათამს გამოზრდით,—პირობა დავდეთ პიონერებმა და კიდევ შევუდექით საქმეს.

ერთ დღეს ჩვენს ფერმაში თეთრი ღუნღულა წიწილები გაჩნდნენ. ერთი წლის შემდეგ კი ფერმაში ათას ორასმა წიწილამ გაშალა ფრთა.

კარგად ვუვლით, სისუფთავეესა და საკვებს არ გაკლებთ წიწილებს, ასე შევბედავთ სურამელი პიონერები ორწლედის პირველ წელს.

სურამის საბავშვო სახლის ოქტომბრელები

ქვიშხეთის პიონერთა ბანაკი. პიონერები: იზოლდა თადუმაძე, გოგი ჩხარტიშვილი და ზვინან სისაური კოლმეურნობას ეხმარებიან.

ფოტო გ. ხანიანისა

გიას ბურთი

გუშინ უყიდა დედაკომ
გიას პატარა ბურთი,
სიხარულისგან ვიას
გული უცემს და ფეთითს,
ჩამოუარა ტოლებს—
გოგას, მალხაზს და ლელას,
და სიხარულით შესძახა:
გთამაშეთო ყველას!

მარინე შენგელია. ვანის რაიონის სოფელ მღვიძარის საშუალო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე.

მოვლაც ამას ჰქვია!

გაღაარჩინა

ძალიერ სიცხეები დაიშირა. ბავშვებმა მიტოვებული აუზი ქვებისა და ტალახისაგან გამმინდეს, ონკანი მოუშვეს და სავსე აუზში საბანაოდ გადაეშვნენ.

ეს შარშან-კიდევ არ ეარჩათ პატარანი. საღამო ხანზე ცხოვრობელ ეარეობით ჩამოსკუალნენ აუზის გარშემო. ზოგმა ფეხი ჩაყო შიგ და ჭყუმპაღი დაიწყო. ეარეკან კუბდაშვილ ფეხი დაუდგა და წყალში ჩაეარდა. პატარებმა ყვირიდი მორთეს. ხმაურზე პიონერმა აჩჩი გორგაძემ მოირბინა, აუზში გადახტა და ეარეკანი წყლიდან ამოიყვანა.

ამის შემდეგ პიონერებმა გადაწყვიტეს, რომ აუზის პირას ერთი მაოგანი ყოველთვის გუშაგად იდგეს.

ტყიბული

წყარო

სკოლის ახლოსახლო დასალევი წყალი არსად იყო. მოსწავლეები დილით მოტანილ თბილ წყალს სვამდნენ ხოლმე.

ერთხელ კოლმეურნეობამ დიდი ხვევდან ცივი წყაროს გამოუყანა ნაოწყო. პიონერები და ოქტომბრელები მიეხმარნენ უფროსებს. წყაროს წყალი სკოლამდეც მიიყვანეს. ახლა მუდამ წყაროს ცივი წყალი აქვთ თამარაშენელ მოსწავლეებს.

ტატიანა რაიონი,
სოფ. თამარაშენი

ეს ოსნაელე ეარ

ჩემი ძმა სკოლაში წასასვლელად რომ გაეშზადებოდა ხოლმე, ბევლი მეკითხებოდა. მეც მინდოდა, სკოლაში მეელო.

ეა, ეკვე მოსწავლე ეარ. მასარია სკოლაში წასვლა. იციო, რა კარგი ეამსნაკები?! ბევლი მეკეთ, რა კარგი ამსნაკები?!

ხაკალსა ოთახში ხელეარეობის ეკუთხეგი ოთახში ალბომიც და ეანტარა ფოთლიქეგ. თუ ვინმე რაშეს ეტეკნს, იმწუთიშეეე მიეეხმარეეთო. კალამი არეკ ერთი ოროსანი არა ეკეთეს.

ეკეთეს ერთად ეკეთეთ ოთახის მეკეთეგ რეკეს: ჯერ წეალი დეკავეგხეთანეთ, შემდეგ ჩეარეკეეთ ეეთი. ეეკეს ეკალსა ფოთოს I საშეალო სკოლის II კლასელეს ქოთნის ეკეთეკი და ეკეთ ბორბოს ალბომი ბეკეკეკეს ხარეკრეგ.

ვ. ქეკნეკალიანი
აბაშის რაიონი, სოფ. სამიგოს საშუალო სკოლა

ფასრთოზე

ეკამოეკანა

მრგვალი ბურთი არ ეგეგონო, ფეეი არ მიმეკარო, ორიეგ ეიე მაგრად ეიჩეეეეტ, ტირილიც არ ეაკმარეა!

ზეინაბ შალიბაშვილი,
თელავის I საშ. სკოლის
მე-4 კლასის მოსწავლე.





ხარეფაქეიო კოლეგია: ჭანჭიკელა, ზრაბნილა, მალხაზ ფანიწელი, ძია გიგო.

რეპეტეი შეადგინა ლამარა ნიშნიანიძემ. წყალტუბოს რაიონის სოფ. ოფეშკვეთის საშ. სკოლის მე-6 კლ. მოსწ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოჩორა

დ. კასრაძე

ნახატი ზ. კაპანაძისა

ამ ზაფხულს დათო მარტყოფში წაიყვანეს. დათოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც დეიდამ ქათმის საბუდართან მიიყვანა და აჩვენა კრუხი თავისი ოქროსფერი წიწილებით. დეიდამ სიმინდის ტარო დაფშვნა და კრუხს დაუყარა.

დეიდა შინ რომ შებრუნდა, დათუნამ იდროვა და ყველაზე ლამაზ ქოჩორა წიწილას ხელი წაატანა, უნდოდა მიალერსებოდა. მაგრამ კრუხს თვალები წამოენთო, აიქოჩრა და ჩაუნისკარტა კიდეც.

— შენ ეი,—დაუტია კრუხმა დათუნას,— ხელი არ ახლო ჩემს შვილებს, თორემ მე ვიცი, თვალებსაც ამოგთხრი!

დათუნამ დეიდასთან უჩივლა კრუხს. დეიდამ დაამშვიდა:

— არა, შვილო, შენი ალერსი მაგას არ ეჭირვება. წიწილა ჯერ სუსტია, ხელში აყვანით დაიჩაგრება და იქნებ კიდეც მოკვდეს.

დაღონდა დათუნა! ბაღჩაში ჩავიდა და ახლა ძია ილოს შესჩივლა თავისი გულისტკივილი. ძია ილომაც ბევრი ვერაფერი ანუგეშა. ეს კი უთხრა: წიწილების მოვლა რა ვაჟკაცის საქმეაო. ქლიავის გადმოხრილ ტოტზე სახელდახელოდ საქანელა ჩამოუბა და ზედ შესვა, საქანელა გააქანა და დათო ცაში გააფრინა. ბავშვმა სიხარულით ყიჟინა ატეხა. სულ დაავიწყდა თვალებბრიალა კრუხი და სჯეროდა, რომ ის ცაში თვითმფრინავით მოგზაურობდა.

— ერთხელ კიდევ, ძია ილო, ერთხელ კიდევ!—ეხვეწებოდა დათო ძიას.

როცა ბიჭმა ჰაერში ფრენით გული იჯერა, ძია ილომ ჩამოსვა, თოხი მისცა და პა-

შეადგინა ქ. გოგიაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეინქადი ეკვი



ტარა წყლის ნაკადი სიმინდის კვლებში შეაშვებინა. ცოტა წვიმამ წამოუშინა, მაგრამ არ შეშინდნენ, მალე გადაიღებსო. მართლაც მზემ პირი დაიბანა და რას ხედავენ!—ციხარტყელას! ძია ილომ უთხრა: შენ მალე თვითმფრინავით მაგაზე მაღლა ისეირნებ, მთვარესაც აკოცებო!

ამ დროს დათოს საცოდავი წივწივი შემოესმა, მიიხედა და ღობესთან სწორედ ის ქოჩორა დაინახა; წიწილა წვიმაში მოხვედრილიყო და საცოდავად აბუზული ძიგძიგებდა. დათო მიეპარა, დაიჭირა, გულში ჩაიხუტა და შინისაკენ მოჰკურცხლა, კრუხი ხომ არ მომდევსო.

შინ გაათბო წიწილა და პურის ნამცეცები დაუყარა, ერთი ლამბაქი კაკლის მურაბაც წინ დაუდგა. ქოჩორამ ნამცეცები აკენკა, მურაბაზე კი უარი უთხრა,—მაგას ერთი ჭიაყელა მირჩევნიაო და მალე ჩაეძინა. დათომაც ისადილა და დაიძინა.

წამოდგა დათო და წიწილა მონახა, მაგრამ აღარ დახვდა. შეეშინდა, კატამ ხომ არ მომპარაო. ეზოში კრუხი წიწილებს მიუძღოდა საჭმლის საძებრად. ქოჩორაც მათში ერია. დათოს სიხარულით თვალები წამოენთო. გულდაგულ მივიდა კრუხთან, ალბათ მადლობას მეტყვის, რომ შვილი სიკვდილს გადავურჩინეო. რა ბრძანებაა! კრუხმა დაუტია, აიფხორა, ფრთები გაშალა და ზედ შეაფრინდა.

მოახლოვდა შემოდგომა. დეიდამ საქალაქოდ გაამზადა დათო. ძია ილომ ის ქოჩორა მიართვა საჩუქრად. რა ლამაზი იყო ახლა ეს ქოჩორა! დათომ ხალათის კალთა სწრაფად მიაფარა, საძაგელმა კრუხმა არ დაინახოს და არ წამართვასო.

თბილისში ჩავიდნენ.

მეორე დღეს დედამ ახლებში გამოაწყო დათო და საბავშვო ბაღში წაიყვანა. შეეხვედეთ, დათუნას გულზე ქოჩორა მიეხუტებინა.

— ეგ რაღად გინდა, შვილო,—ჰკითხა გაოცებულმა დედამ.

— ბაღში უნდა წავიყვანო, დედილო, ამხანაგებსაც გაეხარდებათ.

ნახატები ე. ამბოკაძისა.

მოხერხებული დიასახლისი

ს. ქეთელაური

ნახატი დ. ხახუბაშვილისა

შაბათს უკანასკნელი ზარი რომ დაირეკა, მასწავლებელმა მოსწავლეები შეაჩერა:

— აბა, ვის სურს ტყეში სასეირნოდ წასვლა!

ყველამ ერთად ასწია ხელი.

— ჯერ სახლებში წადით, ისადილეთ. შემდეგ კი შიოს წყაროსთან შევიკრიბოთ,— უთხრა მათ მასწავლებელმა.

სოფლის ბავშვებისათვის ტყე უცხო არ იყო, მაგრამ ასე ერთად წასვლა ყველას გაუხარდა.

მალე ბავშვების ჟივილ-ხივილმა მიძინებული ტყე გამოაღვიძა. გოგონებმა შემოდგომის ყვავილები მოკრიფეს; ბიჭები კუნელისა და ზღმარტლის დაბალ ხეებზე აფოფხდნენ, მწიფე, თავბროლი თხილით აივსეს უბეები. დაკრიფეს ქამა და ხარისფაშვა სოკო. ბოლოს ყველაფერი ერთად შეაგროვეს და თანაბრად გაინაწილეს.

იმედა და გაგა ერთი ბებერი რცხილის ქვეშ ჩაცუცქულიყვნენ, რაღაცას ჩიჩქნიდნენ ფესვებში, თან დაბალი ხმით ცხარედ დაობდნენ.

— მასწავლებელს ვკითხოთ,—ამბობდა გაგა.

— სსუუ!—პირზე ხელი მიაფარა იმედამ,—სულელო, მაშინ ხომ ყველა გაიგებს და ჩვენ რაღა შეგვხვდება?!

—იცი რა,—თქვა იმედამ, —ამას ისევ წავაფაროთ ფოთოლი და დავტოვოთ. ხვალ დილით წამოვიდეთ და შუაზე გავიყოთ.

ამხანაგის რჩევა გაგას ჭკუაში დაუჯდა. ფუღურო ფესვებს საჩქაროდ წაუფარეს ხმელი ფოთლები; ზემოდან კარგად მიასწორ-მოასწორეს, რომ არავის შეემჩნია ნათხარი და ამხანაგებს შეუერთდნენ.

დილით ერთად უნდა წასულიყვნენ ორივენი, მაგრამ იმედას გამოეღვიძა თუ არა, სხვანაირი ფიქრი შეუჯდა თავში. „რაღა გაგას გავუყო,—ფიქრობდა ბიჭი,—ის არ ჯობია, სულ მე დამრჩეს“?

ადგა, პარკი ხალათის შიგნით ამოიფარა და მზის ამოსვლამდე, მარტოკა წავიდა ტყეში. მაგრამ გაგა უკვე იქ დაუხვდა, რცხილის ძირას იჯდა და გაწბილებული ჩაჰყურებდა ცარიელ ორმოს.

— რა იქნა თხილი?—ჰკითხა იმედამ.

— არ ვიცი,—მიუგო გაგამ,—აქ არაფერი აღარ არის.

— აბა, აბა, ეგეები ვერ გიშველის,— შეუტია იმედამ,—ამოყაქე!

— რა უნდა ამოვყაქო?—გაიკვირვა გაგამ.

იმედას სიბრაზისაგან სახე აენთო.

— ჩქარა მოიტა, თორემ გიჩვენებ სეირს. თქვი, სად დამალე იმდენი თხილი?

— მე რა დავმალე, შენ თვითონ მოიპარე გუშინ!—ხმას აუწია გაგამ.

— როგორ მიბედავ! — გადაირია იმედა და მივარდა გაგას.

ეძგერენ ბიჭები ერთმანეთს. მერე დაგორდნენ და ხან ერთი იყო ქვეშ და ხან—მეორე! ჩხუბში გართულებმა ვერ შენიშნეს, როგორ წამოადგათ თავს კოლექტივის მეტყველ ნიკო.

— რა ამბავში ხართ!—დასჭყივლა ნიკომ,—დამაცადეთ, იქ მოვალ, თქვენს მასწავლებელთან და ყველაფერს ვეტყვი!

მოჩხუბარნი ხმას ვერ იღებდნენ, თაგჩაქინდრულები იდგნენ და დაღლილობისაგან ქშინავდნენ.

— ახლავე შერიგდით და აღარ იჩხუბოთ, თორემ აქვე ახლოს ვიქნები,—დაემუქრა ნიკო და ტყეს შეერია.

ბიჭებმა სინანულით შეხედეს ერთმანეთს.

— აბა, რად მეჩხუბე, ჰა?—უსაყვედურა გაგამ,—მე ხომ მართალს გეუბნებოდი.

— არ სტყუოდი?—ჰკითხა იმედამ.

— აი, თუ არ გჯერა!—გაგამ ცარიელი პარკი ამოიღო უბიდან,—მოვედი და... აღარაფერი დამხვდა.

— მაშ, რამ ჩაყლაპა?—თქვა იმედამ.

— მართლა არც შენ წაგიღია?

— რას ამბობ?!

ორივენი ჩაფიქრდნენ: „ვინ მიაგნო თხილს? ვინ წაიღებდა?“

— რა გაქვთ გასაყოფი, აღარ იტყვით?—დაეხმაურა შორიახლოს მყოფი ნიკო.

იმედა და გაგა გამოუტყდნენ.

— აი, თქვე სულელებო,—გადაიხარხარა ნიკომ,—არავინ არ მოგპარათ, თვითონ პატრონმა შეუცვალა ადგილი.

— ვინ პატრონმა?—გაოცდნენ ბიჭები.

— ვინა და ციყვმა. თქვენ ციყვის ორმო გიპოვნიათ. იმას რაიმე ნიშანი ექნებოდა დადებული. ის ნიშანი, თქვენ რომ ხელი შეახეთ, წაშლილა. ციყვმა ეს შენიშნა და მთელი თხილი სხვაგან გადაზიდა.

— რა ნიშანი? ჩვენ არაფერი არ გვინახავს.

— თქვენ ვერც შეამჩნევდით, ეს ნიშანი მარტო თვითონ იცის. ისეთი ეშმაკია, ერთ თხილსაც რომ ვინმე შეეხოს, იმწამსვე მიხვდება და სხვა ადგილზე გადამალავს. აბა, რა გეგონათ? ციყვი ისეთი მოხერხებული დიასახლისია, რომ თავის საკუჭნაოს ასე ადვილად არავის გააჩანაგებინებს.

გაგამ და იმედამ ერთმანეთს გადახედეს.

— ნეტავ სად წაიღებდა, ჰა?

— რას გაიგებთ? იმას ხუთი ისეთი ორმო მაინც ექნება. ზამთრის სარჩოს—თხილს, კაკალს და რკოს ჯერ ასე ცალ-ცალკე ინახავს და ყოველდღე ამოწმებს, აბა, ხომ არავინ მიაგნოო. მერე, როცა საზამთრო ბინას მოიწყობს, ნაწილს იქ გადაზიდავს, ნაწილს კი სადმე სხვაგან, უფრო საიმედო ადგილზე შეინახავს.

— უყურე ერთი, როგორი ეშმაკი ყოფილა ციყვი!—გაიძახოდნენ ბიჭები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაკრატელი

გ. ჭიჭინაძე

ნახატები გ. როინიშვილისა

აბა, ჩემო მაკრატელო,
მხიარულად სჭერი,
მოგიტანე დასაჭრელად
ეს ფართალი ჭრელი.

მეც შენსავით შრომა მიყვარს,
უქმად არ მსურს ცქერა.
დაგახმარე ორი თითი—
შუანა და ცერა.

თვალები გაქვს, მაგრამ მაინც
თვალის ჩინი არ გაქვს;
რა ვუყოთ, თუ უკბილოც ხარ,
ჩითს დაგვიჭრი კარგად.

ჭრიჭი, ჭრიჭი,—მიიმღერი,
პირს შაშვივით აღებ,
სულ სრიალით შემოუჭრიბენ
სიფრიფანა თარგებს.



ახალ შარვლებს, ახალ კაბებს
და ვინ მოსთვლის კიდევ,
რამდენ რამეს გამოუჭრი
პატარებს თუ დიდებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

85/3

„ხუთსართულიანი“ ტბა

მრ. ზარდალიშვილი

ნახატი მ. ახობაძისა

გაგიგონიათ „ხუთსართულიანი“ ტბა? განა მარტო სახლები არსებობს ხუთსართულიანი, თურმე ტბებიც ყოფილა. ასეთი ტბა ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთით, კოლის ნახევარკუნძულთან არის და სახელად „საფლავის“ ტბა ჰქვია.

რამდენიმე წლის წინათ ამ ტბის მიდამოებში გეოლოგები მუშაობდნენ. ახლომახლო არსად იყო დასალევი წყალი. სხვა გზა არ ჰქონდათ გეოლოგებს, ტბის წყალს სვამდნენ. ერთხელ ჩაი აადუღეს და ნახეს, რომ ჩაის წყალი მლაშე გამოდგა. გაუკვირდათ, იცოდნენ, რომ ტბის წყალი მტკნარი, ანუ უმარილო იყო. წყლის მომტანი კი არწმუნებდა, წყალი იმავე ტბიდან ავიღეთ.

დაინტერესდნენ გეოლოგები და გამოარკვიეს, რომ ეს ტბა „ხუთსართულიანი“ ყოფილა:

ტბის ძირში, „პირველ სართულზე“ ისეთი შხამიანი წყალია, რომ მცენარეები და ცხოველები ვერ ცოცხლობს.

მას ზემოთ, მეორე სართულზე წყალი მოწითალო ფერისაა. ამ წყალში წითელი ბაქტერიები არიან და წყალს თავის ფერს აძლევენ. ისინი შხამიან წყალს ზევით არ უშვებენ.

„მესამე სართულზე“ ზღვის მლაშე წყალია. აქ ცოცხლობენ ზღვის ცხოველები, თევზები და წყალმცენარეები.

„მეოთხე სართულზე“ წყალს ცოტათი მომლაშო გემო აქვს.

და ხუთ ზევით კი—„მეხუთე სართულზე“, რამდენიმე მეტრის სიღრმეზე, ტბის წყალი მტკნარია—უმარილო და დასალევად გამოსადეგია.

უთუოდ ჩვენს გეოლოგებს ჩაის ქეთლში ქვედა სართულის წყალი მოხვედრიათ.

აი, როგორია „ხუთსართულიანი“ ტბა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოცანები

მიღშიც ფხიზლობს, თვალს არ ხუჭავს,
ყურები აქვს მეტად დიდი;
სამი ტუჩით ბალახს არჩევს,
ბოსტნეულისაც არ აქვს რიდი;
თუ ვინმეთოსტო გითესია,
არ შეჭამოს,— გაუფრთხილდი!

დ. ძაძამია

პატარა გოგო პატეს მიერგებოდა:
ერთი პატი ორს ბატს წინ მიუძღოდა,
ერთი—ორ ბატს შუკან მისდევდა,
ერთიც ორს უკან ბატი იყო?
ხელუ რამდენი ბატი იყო?

ალექსანდრა ჟურნალიდან

ამაყად დადის საგარეულით,
თუმცა თავზე არ აქვს ომბრი,
ჯიუტად გაშლილი ბილო აქვს
და ფინეური ფრთები.
იგი მზეგარი არ არის,
მაგრამ ალბარეს დეზეს,
ნიშდერით ხვდება განთიადს,
ადრე იდვიძებს მზეზე.

ვ. ამირანაშვილი



ჭიანჭველა

ჭიანჭველა ჭინჭარას
ზურგზე პური ჰკიდია,
პური ჭიანჭველაზე
ოთხჯერ უფრო დიდია.

ვ. ნარეთელი

წყალი

ნ. ბეარიშვილი

— ნტაი, ნტაი,— იძახის
პაწაწინა ღაღი.
როგორ მიხვდნენ ნეტავი?
მიუტანეს წყაღი.

მეჩაიე

ე. ჯღამაძე

მწვანე პლანტაციებში
დაქრის ზიზო ხელგაშლილი,
ეხმარება დედიკოს
ჩაის ფოთლის კრეფაში.

ამოცანა

ჯ. ჩარკვიანი

ჩემმე უფრო ვაუკაცი,
რომელი ხართ, რომელი?
ფეხი ვის გაქვთ ჩემსავით
ოცდასამი ნომერი.

ყველა გარეთ გამოდით
და ეზოში მოგროვდით,
რომ გაჩვენოთ ხარმა და
რომ გაჩვენოთ მოგვერდი.

როგორც გუშინ კი არა,
გამოვედ და გარბოდით,
მე ვარ ბიჭი მამუკა,
აბა, აქეთ გამოდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელგარულ ჟურნალ „სლავეიჩე“-დან



ფიქრობს, ფიქრობს ფისუნა,
მიუსხედით გარშემო,
აქ რამდენი თევზია?
დაეხმარეთ, ბავშვებო!



ამოცანა

ბაღჩაში ოქროს ცხრილები
საგსეა შავი მძიგეებით.

ბ. ამირანაშვილი

ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ

ლ. ნეფცგიძე

რა კარგია ტელეფონი,
— წკრ-წკრ, წკრ-წკრ,—ისმის მუდამ,
ყველასა აქვს ჩემს მეზობლებს:
შოთას, თენგიზს, ნინოს, გურამს.

ერთმანეთთან აკავშირებს
ყველა სახლს და ყველა უბანს,
გუშინ დედა შორს სოფელში
ჩემს ბებიკოს ესაუბრა.

ᲣᲧᲐᲖᲔ: „ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲜᲐᲮᲐᲢᲘ Ლ. ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐᲡᲘ“

რედაქტორი იოსებ ნონეშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კ. გოგიბაშვილი, მაყვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ი. სიხარულიძე, ნ. უნაფქოშვილი, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი)

გამოცემის ოცდამეთოთხმეტე წელი

ფასი 20 კაპ.

ტექ. რედაქტორი ი. არდიშვილი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდებათ

გამომცემლობა „ნაკადული“. რედაქციის მისამართი: თბილისი, ალეხანოვის პრსპ. 91, ტელ. 5-37-38. გამომც. შეკვ. № 474, სტამბის შეკვ. № 2595 ტირაჟი 28000 ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲐᲠᲘᲚᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲑᲔᲭᲓᲐᲓ 28/IX 1961 წ.

ჟურნალი დაბეჭდილია ლითოოფსეტურ ბეჭდვის დანადგარებზე

ДИЛА—ежемесячный детский журнал ЦК ЛКСМ Грузии и Республиканского совета организации юных пионеров им. В. И. Ленина
№ 10 октябрь, 1961 г. Тбилиси, просп. Алеханова 91.

ნახატი ბ. თოთიბაძისა